



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა
„ლანდშაფტური არქიტექტურა“

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

14.07.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	7
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	7
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	13
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	18
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	19
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	24

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი წანაწყენიშვილი, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ხაბეიშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	-
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	-
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	-

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ლანდშაფტური არქიტექტურა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Landscape Architecture
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ლანდშაფტური არქიტექტურის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება 0731
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №90 01.04.2019 წელი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	გამოცდა სპეციალობაში

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

აწსუ-ს „ლანდშაფტური არქიტექტურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ემსახურება ისეთი სპეციალისტის მომზადებას, რომელიც ღრმა თეორიული ცოდნის საფუძველზე დაუფლებული იქნება: საქართველოს ტყეების და დასახლებული ტერიტორიების მცენარეული საფარის კვლევის მეცნიერულ საფუძველს, ლანდშაფტების დაგეგმარებისა და პროექტირების, ბალ-პარკების მშენებლობის და ექსპლუატაციის თანამედროვე მეთოდებს. გარდა ამისა, შეძლებს საქართველოს რეკრეაციული რესურსების კვლევას, ტურისტულ-რეკრეაციულ ინდუსტრიაში მათი როლის და პოტენციალის შეფასებას, ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტების დაცვის, განახლების და კეთილმოწყობის ღონისძიებების შემუშავებას.

აღნიშნული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით, შესაბამისი თვითშეფასების ანგარიში 2022 წლის ნოემბერში წარდგენილი იყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. აკრედიტაციის ექსპერტების დასკვნა შესაბამისობის ანგარიშზე განხილული იყო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 17 მარტის სხდომაზე (ოქმი №369481, 31.03.2023) და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით აკრედიტაციის ექსპერტების დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულების ვადად დაწესებულებას განესაზღვრა 60 დღე.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 30 მაისის N620405 ბრძანებით „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ლანდშაფტური არქიტექტურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2023 წლის 16 მაისის №546913 წერილით წარმოდგენილი "ლანდშაფტური არქიტექტურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 17 მარტის №369481 სხდომის ოქმის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების ფარგლებში, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის შედგენა.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის დისტანციურ ფორმატში შესწავლა-ანალიზის საფუძველზე შეფასდა აკრედიტაციის პირველი (ქვესტანდარტები - 1.2, 1.4, 1.5), მეორე (ქვესტანდარტები - 2.1, 2.2, 2.4) და მეოთხე (ქვესტანდარტი 4.1) სტანდარტები.

I სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

- 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 1.5 სასწავლო კურსი/საგანი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

II სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

- 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.4 სტუდენტების შეფასება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

IV სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

4.1 ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ **რეკომენდაციები**

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

4.1

- სასურველია კვლავ გაგრძელდეს მუშაობა პროგრამაში დარგის სპეციალისტთა (არქიტექტურის, ლანდშაფტური არქიტექტურის ან/და ქალაქდაგეგმარების კვალიფიკაციის მქონე პირთა) ჩართვის მიმართულებით.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵**

-

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

- აწსუ-ს მიერ გათვალისწინებული იქნა 1.5 ქვესტანდარტის შესახებ დადგენილ რეკომენდაციაზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა აღნიშნული რეკომენდაციის ამოღება.
- აწსუ-ს მიერ გათვალისწინებული იქნა 2.4 ქვესტანდარტის შესახებ დადგენილ რეკომენდაციაზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა აღნიშნული რეკომენდაციის ამოღება.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

-

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში სწავლის შედეგები დაყოფილია ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებად, რომლებიც ლოგიკურ კავშირშია პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დარგობრივი კომპეტენციები პროგრამაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ცოდნა და გაცნობიერება

- ახდენს საქართველოში გავრცელებული დეკორატიული მცენარეების ძირითადი ასორტიმენტის იდენტიფიცირებას მორფოლოგიური თავისებურებების შესაბამისად; ბიო-მორფოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით განსაზღვრავს მცენარეების სასიცოცხლო პირობებს, გეგმავს გამწვანების პროცესში მათი გამოყენებისა და მოვლის ოპტიმალურ ღონისძიებებს; ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებით დეკორატიულ მცენარეთა სანერგისათვის ადგენს მცენარეთა ასორტიმენტს, განსაზღვრავს ნერგების გამოყვანის მოცულობას და აგროტექნოლოგიებს;
- თანამედროვე ურბანიზაციის პირობებში, ლანდშაფტური ხელოვნების თანამედროვე თეორიებზე დაყრდნობით აღწერს და განსაზღვრავს სხვადასხვა სტილში ტერიტორიების პროექტირების, მხატვრული და სივრცით-კომპოზიციური გადაწყვეტის შესაძლებლობებს; ობიექტის არსებული პირობების გათვალისწინებით, პროექტის შესაბამისად, აკეთებს მონახაზს ტერიტორიების დაგეგმარების და ჩანაფიქრის რეალურად განხორციელების შესახებ;
- ქვეყნის უნიკალური ბუნებრივი პოტენციალის შესაძლებლობებზე დაყრდნობით, ადგილობრივი კლიმატურ-ნიადაგობრივი და ეკოლოგიური პირობების კვლევის საფუძველზე, ტერიტორიების პროექტირებისა და გამწვანება-კეთილმოწყობის პროცესში განსაზღვრავს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართული იქნება ობიექტის არსებული საუკეთესო მხარეების წარმოჩენასა და ადამიანისათვის კომფორტული სასიცოცხლო პირობების შექმნაზე, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებაზე;
- ახდენს ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან და თანამედროვე ლანდშაფტის დიზაინის 3D პროგრამებთან მუშაობის, ინფორმაციის კრიტიკულად და შემოქმედებითად გააზრების, სამეცნიერო ნაშრომის წერისა და გაფორმების, პედაგოგიური საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის დემონსტრირებას.

უნარი

- ახდენს ტერიტორიების წინასაპროექტო ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ შეფასებას და არსებული მდგომარეობის პროექტის შესრულებას გრაფიკულად ან 3D პროგრამების გამოყენებით; მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეების ინვენტარიზაციის ჩატარებას, მათი სისტემატიკური შემადგენლობის დადგენას, მდგომარეობის შეფასებას, ბიო-ეკოლოგიურ კვლევას;
- გამწვანებისათვის არჩევს მცენარეთა ასორტიმენტს ობიექტის ნიადაგურ-კლიმატური და ეკოლოგიური პირობების, საპროექტო მოცემულობის გათვალისწინებით; გაგმავს მცენარეების გამოყენების ფორმებს პროექტირების წესების შესაბამისად, მარადმწვანეობის, წლის განმავლობაში ფერთა ცვალებადობის, მხატვრულ-ესთეტიკური იერსახის ფორმირების, ობიექტის სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების, აგრეთვე არსებული კონდიციური სარგავი მასალის არსებობის პოტენციალის გათვალისწინებით;
- ლანდშაფტური არქიტექტურის თანამედროვე მოთხოვნების და ტენდენციების, აგრეთვე იბიექტების ფუნქციონალური და არსებული თავისებურებების გათვალისწინებით ახდენს ტერიტორიების გამწვანება/რეკონსტრუქციის პროექტების შესრულებას გრაფიკულად, აგრეთვე კომპიუტერული არქიტექტურული და ლანდშაფტის დიზაინის თანამედროვე 3D პროგრამების გამოყენებით; პროექტის მიხედვით ქმნის მუშა ნახაზებს (დაკვალვითი, დარგვითი, ვერტიკალური გეგმარების), ახდენს პროექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გაანგარიშებას;
- გეგმავს საპროექტო ტერიტორიაზე მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას, პროექტის შესაბამისად ახდენს რელიეფის შესწორებას, ობიექტის დაკვალვას და მცენარეების დასარგავი ადგილების იდენტიფიცირებას/მონიშვნას; გეგმავს და ხელმძღვანელობს ვერტიკალური გეგმარების ელემენტების, გზების და მოედნების მოწყობის, მცენარეების ტრანსპორტირებისა და დარგვის სამუშაოებს; პასუხს აგებს შესრულებული სამუშაოს ხარისხიანად შესრულებაზე;
- ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე კრიტიკულად იაზრებს მიღებულ ინფორმაციას, განსაზღვრავს ძირითადი და დამხმარე საინფორმაციო წყაროების მნიშვნელობას, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ახდენს ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს და საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბებას, დასაბუთებას, პრობლემის გადაჭრის გზების პოვნას, ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებას;

- შეუძლია ლანდშაფტური არქიტექტურის სფეროში როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია მშობლიურ და უცხო ენაზე; მოცემულ საკითხზე უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად კვლევის წარმართვა და შედეგების გადმოცემა სამეცნიერო ტექსტის აუცილებელი მოთხოვნების დაცვით, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა და აუდიტორიის წინაშე მოხსენებით გამოსვლა.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- იაზრებს მწვანე საფარის დაცვის, განახლების მნიშვნელობას და მაღალმოქალაქეობრივი თვითშეგნებით ისწრაფის იმ ღირებულებების დამკვიდრებისკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების შენარჩუნებას, გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის და ესთეტიკური იერსახის გაუმჯობესებას;
- დებულობს სპეციალობაში ეთიკისა და სამართლებრივი პრინციპების დაცვის, დაკისრებული სამუშაოს ხარისხიანად შესრულების, მომხმარებლის ინტერესების დაცვის; ცოდნის გაღრმავების, საკუთარი აზრის ფორმირებისა და დაცვის, სწავლის შემდგომი დაგეგმვის, სასწავლო/სამეცნიერო თუ სხვა სახის პროცესის სწორად ორგანიზების, შესაბამის ამოცანასთან სამეცნიერო სტანდარტის მისადაგების, მეცნიერული ეთიკის ნორმებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, პლაგიატის მიუღებლობის საჭიროებას.

პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან, ასევე პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 17 მარტის სხდომაზე განხილული აკრედიტაციის ექსპერტების დასკვნის თანახმად ჩამოყალიბებული რეკომენდაცია „რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომი გადიოდეს პროგრამით განსაზღვრულ ყველა სწავლის შედეგზე“ დაწესებულების მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა სამაგისტრო ნაშრომის შედეგების გადახედვა, მოდიფიცირდა თავად სილაბუსი და მასში მკაფიოდ მოხდა სწავლის შედეგების ფორმულირება. შედეგად, განხორციელებული ცვლილებების მიხედვით სამაგისტრო ნაშრომი გადის პროგრამით განსაზღვრულ სწავლის ყველა შედეგზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მონიტორინგის ანარიში
- პროგრამის კურიკულუმი (დანართი 1)
- კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამაში არსებულ სასწავლო კურსებს შორის (დანართი 1)
- ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან (დანართი 1)
- სასწავლო კურსის „სამაგისტრო ნაშრომი“ სილაბუსი (დანართი 1)

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის „ლანდშაფტური არქიტექტურა“ მთლიანი მოცულობაა 120 კრედიტი. აქედან ძირითად კურსებს ეთმობა - 80 ECTS კრედიტი (ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები 75 ECTS კრედიტი და პრაქტიკის კომპონენტი 5 ECTS კრედიტი), ძირითადი

სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი კურსებს - 10 ECTS კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომს - 30 ECTS კრედიტი.

სწავლების III სემესტრში პროგრამით გათვალისწინებულია „პროფესიული პრაქტიკა ლანდშაფტურ არქიტექტურაში“, რომელიც მიზნად ისახავს სამაგისტრო პროგრამით მიღებული თეორიული ცოდნის დაკავშირებას რეალურ საქმიანობასთან და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. აღნიშნული კურსი ეხმარება სტუდენტს გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის კვლევაში; მცენარეების ფენოლოგიური კვლევის მეთოდის გაცნობაში, მათი ბიო-მორფოლოგიური კვლევის შედეგების ანალიზში, აკლიმატიზაციისა და მიკროკლიმატური პირობების მიმართ ადაპტაციის ხარისხის დადგენაში; გარემოს ლანდშაფტურ შეფასებაში; დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარ-ჩვევების შექმნაში, სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის, მათ შორის ანგარიშების, გაფორმების გამოცდილების მიღებაში.

თუმცა იმის გამო, რომ აღნიშნულ კურსში არქიტექტურული დაგეგმარების კომპონენტი სუსტად იყო წარმოდგენილი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ იყო გაცემული რეკომენდაცია - „რეკომენდებულია კურსში „პროფესიული პრაქტიკა ლანდშაფტურ არქიტექტურაში“ წამყვანი კომპონენტი იყოს ლანდშაფტის არქიტექტურული დაგეგმარება“, რომელიც დაწესებულების მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული, კერძოდ, კურსში „პროფესიული პრაქტიკა ლანდშაფტურ არქიტექტურაში“ შეიცვალა მიზანი, რომლის შესაბამისადაც დაკორექტირდა სწავლის შედეგი, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, ასევე სასწავლო კურსის შინაარსი, გამოიკვეთა არქიტექტურული კომპონენტი, როგორც წამყვანი. ასევე მოხდა არქიტექტურული პროფილის ახალი პრაქტიკის ობიექტის დამატება, კერძოდ გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურთან (12.04.2023).

ასევე ექსპერტთა ჯგუფის მიერ იყო გაცემული რეკომენდაცია პროგრამაში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე, კერძოდ, „რეკომენდებულია გასწორდეს პროგრამაში არსებული ტექნიკური ხარვეზი - მე-8 გვერდზე, გრაფაში „სულ არჩევითი კურსები“ – 5-5 კრედიტი მითითებულია II და III სემესტრებში, ნაცვლად I და III სემესტრისა“, რომელიც იქნა გასწორებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მონიტორინგის ანგარიში
- სასწავლო კურსის „პროფესიული პრაქტიკა ლანდშაფტურ არქიტექტურაში“ სილაბუსი (დანართი 2)
- მემორანდუმი ქუთაისის მერიასთან (დანართი 2)
- პრაქტიკის დღიური (დანართი 2)
- პროფესიული პრაქტიკის დაცვის უწყისი (დანართი 2)
- პროგრამის კურიკულუმი (დანართი 1)

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

1.4



საგანმანათლებლო
პროგრამის
სტრუქტურა და
შინაარსი

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აწსუ-ს „ლანდშაფტური არქიტექტურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და მოცულობა მთლიანობაში უზრუნველყოფს პროგრამის საფეხურის შესაბამის განათლებას (მაგისტრი), ასევე პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (ლანდშაფტური არქიტექტურის მაგისტრი) შესაბამისობას. ხელს უწყობს პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 17 მარტის სხდომაზე განხილული აკრედიტაციის ექსპერტების დასკვნის თანახმად ჩამოყალიბებული მე-4 რეკომენდაცია ეხებოდა ძირითადი სფეროს ერთ-ერთ სასწავლო კურსს „არქიტექტურული გრაფიკა“-ს. რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა ინსტიტუციის მიერ.

ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ იყო გაცემული რეკომენდაცია, რომ „სასწავლო კურსის „არქიტექტურული გრაფიკა“ სილაბუსში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი - მე-2 გვერდზე, გრაფაში „სწავლება/სწავლის მეთოდები“ წერია ლექცია და პრაქტიკული მეცადინეობა, უნდა დარჩეს მხოლოდ პრაქტიკული მეცადინეობა“, რომელიც იქნა გასწორებული.

გარდა ამისა, ამავე სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალის მიმართ გაცემული იყო რეკომენდაცია „სწავლო კურსში „არქიტექტურული გრაფიკა“ სავალდებულო ლიტერატურად რეკომენდებულია მიეთითოს ქართულენოვანი სახელმძღვანელო“, რომელიც დაწესებულებამ გაითვალისწინა და რეკომენდაციასთან დაკავშირებით სასწავლო კურსის „არქიტექტურული გრაფიკა“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად მიეთითა ქართულენოვანი სახელმძღვანელო, კერძოდ: მ. მაისურაძე. „თანამედროვე არქიტექტურის კომპოზიციური თავისებურებები“. ინგლისურენოვანი ლიტერატურა კი გადატანილი იქნა კურსის დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მონიტორინგის ანარიში
- სასწავლო კურსის „არქიტექტურული გრაფიკა“ სილაბუსი (დანართი 5)

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აწსუ-ს „ლანდშაფტური არქიტექტურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მითითებულია, რომ მაგისტრანტი შეიძლება გახდეს საბალო-საპარკო მეურნეობის, აგრონომიის, ეკოლოგიის, არქიტექტურის, მშენებლის, მხატვრის და სხვა მონათესავე სპეციალობების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც გადის წინასწარ რეგისტრაციას ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრში და აბარებს სამაგისტრო გამოცდას (ზოგადი უნარები).

ასევე სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდის ჩატარების წესები განსაზღვრულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ: კერძოდ, სტუდენტი აბარებს გამოცდას სპეციალობაში. აწსუ-ს ვებ გვერდზე: აბიტურიენტთათვის (atsu.edu.ge) მოცემულია საჭირო ინფორმაცია აბიტურიენტთათვის, კერძოდ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული გზამკვლევი მაგისტრანტობის მსურველებისათვის.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ იყო რეკომენდაცია „იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე შესაძლოა ჩაირიცხოს არა არქიტექტორიც, რეკომენდებულია სასპეციალიზაციო გამოცდად დაწესდეს არა მხოლოდ გამოცდა თეორიაში, არამედ კლაუზურაც (ხელით შესრულებული

ესკიზური პროექტი კონკრეტულ თემაზე - პარკის ზონირება, სანაპირო ზოლის გამწვანების ორგანიზება ან სხვა), რომლის ჩატარების წესისა და შეფასების კრიტერიუმების ასახვა მოხდება დოკუმენტში - აწსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის განსაზღვრის შესახებ ბრძანებაში და ეს ინფორმაცია გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე უნდა განთავსდეს აბიტურიენტთათვის განკუთვნილ სივრცეში“. აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ გაითვალისწინა სრულად. კერძოდ, რეკომენდაციასთან დაკავშირებით აწსუ-ს აგრარული ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (18.04.2023) აღინიშნა, რომ თვითშეფასების ჯგუფისა და პროგრამის ხელმძღვანელის ერთობლივი მუშაობით გაზიარებულ იქნა აკრედიტაციის ექსპერტთა და საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია. შედეგად ფაკულტეტის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მისაღებ გამოცდაზე „ლანდშაფტური არქიტექტურა“-ს სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი აბიტურიენტი ჩააბარებს არამხოლოდ გამოცდას თეორიაში, არამედ დავალების შესაბამისად შეასრულებს გარკვეულ პროექტს - კლაუზურას. ამავე საბჭოზე დამტკიცდა, რომ აღნიშნული ცვლილება შესულიყო პროგრამის დაშვების წინაპირობაში და შესაბამისად ჩასწორებულიყო კურიკულუმი. ასევე დაადგინეს, რომ პროგრამაზე მიღების წესისა და შეფასების კრიტერიუმების ასახვა მოხდეს აწსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის განსაზღვრის შესახებ ბრძანებაში და ეს ინფორმაცია გამოცდების დაწყებამდე მინ. ერთი თვით ადრე განთავსდეს აბიტურიენტთათვის განკუთვნილ სივრცეში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მონიტორინგის ანარიში
- პროგრამის კურიკულუმი (დანართი 6)
- აწსუ-ს აგრარული ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N14, 18.04.2023 (დანართი 6)

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აწსუ-ს „ლანდშაფტური არქიტექტურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს საპროექტო, შემოქმედებით და პრაქტიკულ კომპონენტს.

სწავლების III სემესტრში პროგრამით გათვალისწინებულია „პროფესიული პრაქტიკა ლანდშაფტურ არქიტექტურაში“, რომლითაც ხდება პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება და თეორიული ცოდნის დაკავშირება რეალურ საქმიანობასთან. სტუდენტს უნივერსიტეტის რეკომენდაციით შეუძლია გაიაროს პრაქტიკა შემდეგ ობიექტებზე: ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახური; ააიპ „ქ. ქუთაისის ბოტანიკური ბაღი“ - მისამართი: ქ. ქუთაისი, ლესელიძის ქ. N2; ააიპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი“ - მისამართი - ქ. ქუთაისი, თაბუკაშვილის ქ. N 2; ი/ს „ნემო კაკუშაძე“ - მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიკვას ქ. N 20გ; შპს “Flora Westland” - მისამართი: წყალტუბო, სოფელი გეგუთი.

